საქმე №2/33976-18

5279112294314

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

სარჩელის განუხილველად დატოვების და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ

09 ივლისი, 2019 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - თინა ვაშაყმაძე

განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

მოსარჩელე - ნინა ახალაშვილი
წარმომადგენელი - დავით ჭაღიაშვილი

მოპასუხე - შპს ,,დემაქს გოთუა"
წარმომადგენელი - დავით ჭაღიაშვილი

დავის საგანი - ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა, მესაკუთრედ აღიარება

შუამდგომლობა - სასარჩელო განცხადების გახმობის გამო სარჩელის განუხილველად დატოვება და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

სასამართლომ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2018 წლის 22 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა ნინა ახალაშვილის წარმომადგენელმა დავით ჭაღიაშვილმა მოპასუხე შპს ,,დემაქს გოთუას" მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის და უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნით.

ამავე სასარჩელო განცხადებით, მოსარჩელის წარმომადგენელმა მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ მოსარჩელემ

ითხოვა მოპასუხე მხარეს აკრძალვოდა მის საკუთრებაში არსებული: ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ლევან გოთუას ქუჩა №20-ში მდებარე №01.10.13.010.089 საკადასტრო კოდის მქონე მიწის იმ ნაწილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, რომელზედაც განთავსებულია შენობა-ნაგებობა №4 და ასევე აღნიშნული შენობის დემონტაჟი.

სარჩელი სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა განსახილველად და 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ნინა ახალაშვილის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე შპს ,,დემაქს გოთუას" აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ლევან გოთუას ქუჩა №20-ში მდებარე №01.10.13.010.089 საკადასტრო კოდის მქონე მიწის იმ ნაწილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, რომელზედაც განთავსებულია შენობა-ნაგებობა №4, ასევე ამავე უძრავი ქონების დემონტაჟი.

2019 წლის 08 ივლისს, მოსარჩელე ნინა ახალაშვილის წარმომადგნელის დავით ჭაღიაშვილის და მოპასუხე შპს ,,დემაქს გოთუას" წარმომადგენლის გია ფოლადიშვილის მიერ წარმოდგენილი იქნა განცხადება, რომლითაც მოსარჩელემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1] მუხლის თანახმად ითხოვა სარჩელისა და თანდართული მასალების უკან დაბრუნება, ამავე განცხადებით მხარეებმა იშუამდგომლეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ განცხადებას, საქმეში არსებულ მასალებს, მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. ამასთან, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს_ცნოს სარჩელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე, სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.

სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ.

აღნიშნული ნორმით კანონმდებლის მიერ განმტკიცებულია მხარის (მოსარჩელე) უფლება მის მიერ აღძრულ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის გარეშე უკან გაიხმოს თავისი სარჩელი, ამასთან სარჩელის გამოხმობის შესახებ შუამდგომლობა მოსარჩელეს შეუძლია განაცხადოს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, როგორც სარჩელის წარმოებაში მიღების, ასევე სასამართლოს მოსამზადებელი და მთავარი სხდომის ეტაპზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტის თანახმად სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ.

ამდენად, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს განცხადებას და თვლის, რომ იგი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და მოსარჩელე ნინა ახალაშვილის სარჩელი დატოვებული უნდა იქნეს განუხილველად.

სასამართლო ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83^1 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელის გამოხმობის შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ი„ ქვეპუნქტის საფუძველზე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199^1-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ - უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელე ითხოვს სარჩელს, აღარ არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნების საფუძველიც.

სასამართლომ, იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1]-ე, 199[1]-ე 275-ე, 276-ე, 278-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მოსარჩელე ნინა ახალაშვილის წარმომადგენლის დავით ჭაღიაშვილის განცხადება სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდეს;

1.1. ნინა ახალაშვილის სარჩელი მოპასუხე შპს ,,დემაქს გოთუას" მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის და უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარების თაობაზე დარჩეს განუხილველი მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო;

2. მოსარჩელეს უკან დაუბრუნდეს სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილი დედნის სახით, ასევე განემარტოს მას, რომ უფლება აქვს კვლავ მომართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით;

3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმად: *1.* ნინა ახალაშვილის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე შპს ,,დემაქს გოთუას" აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ლევან გოთუას ქუჩა №20-ში მდებარე №01.10.13.010.089 საკადასტრო კოდის მქონე მიწის იმ ნაწილის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, რომელზედაც განთავსებულია შენობა-ნაგებობა №4; *2.* ნინა ახალაშვილის სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხე შპს ,,დემაქს გოთუას" აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ლევან გოთუას ქუჩა №20-ში მდებარე №01.10.13.010.089 საკადასტრო კოდის მქონე მიწაზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №4-ის დემონტაჟი;

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში განჩინების ასლის მხარეთათვის გადაცემიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა მეშვეობით.

მოსამართლე თინა ვაშაყმაძე

ასლი დედანთან სწორია
შესულია კანონიერ ძალაში
თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

თანხმობა

ქ. თბილისი 17.07.2019

მე, თეიმურაზ ჯავახიშვილი (პ / ნ 01024055069, რეგისტრირებული მისამართზე, საქართველო, ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 20) ვაცხადებ თანხმობას, რომ შპს „დემაქს გოთუა“-ს (ს.კ. 405282215) წარმომადგენლებმა მიიღონ შესაბამისი სამსახურიდან მშენებლობის ნებართვა განცხადება N AR1693661 --ის მიხედვით.

თეიმურაზ ჯავახიშვილი (პ / ნ 01024055069) თეიმურაზ ჯავახიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190846144
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.07.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე ჯელაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №49-51-51ა, სართული 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2434380
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	13557566073319

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათასცხრამეტი წლის თვრამეტ ივლისს მე, ნოტარიუს ეკატერინე ჯელაძეს, სანოტარო ბიუროში, მდებარე თბილისში, ა. წერეთლის გამზირი №49-51-51ა, სართული 2, მომმართა **გიორგი ზავრადაშვილმა** (დაბ.06.08.1974წ. მცხ. ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 20, პირადი #01024043774). მან წარმოადგინა 18.07.2019 წლის თანხმობა და მოითხოვა, მასზე თავისი ხელმოწერის სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტითა და სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ელექტრონული ბაზის მეშვეობით. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მხარეს განემარტა რომ წინამდებარე აქტით მოწმდება მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობა, შესაბამისად ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე დოკუმენტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან დოკუმენტში ხელმომწერის ნების არაადექვატურად ასახვის გამო. მხარეს აგრეთვე განემარტა იმ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოჰყვება მის მიერ არასწორი ფაქტების დადასტურებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა.

გადახდილია 11.44 ლარი, მათ შორის სანოტარო საზღაური ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, 4 ეგზემპლიარისათვის 8.00 ლარი, დღგ 1.44 ლარი და სანოტარო ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის

ნოტარიუსი ეკატერინე ჯელაძე

თანხმობა

ქ. თბილისი 17.07.2019

მე, **გიორგი მისირელი** (პ.ნ.01024004077, დაბ,. 13.07.1958, რეგისტრირებული მირსამართზე, საქართველო, ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 20) როგორც **ციალა პაპავაძის** (პ.ნ. 01024051934, რეგისტრირებული მირსამართზე, საქართველო, ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 20) მინდობილი პირი ვაცხადებ თანხმობას, რომ შპს „დემაქს გოთუა“-ს (ს.კ. 405282215) წარმომადგენლებმა მიიღონ შესაბამისი სამსახურიდან მშენებლობის ნებართვა განცხადება N AR1693661 --ის მიხედვით.

გიორგი მისირელი (პ.ნ. 01024004077) /----------/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190840578
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.07.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	შორენა გოგორიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 595 075225
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	97376072823919

მე, საქართველოს ნოტარიუსი , შორენა გოგორიშვილი, ვამოწმებ გიორგი მისირელის (დაბ. 13.07.1958წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 20, პ/ნ 01024004077) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე დოკუმენტზე (17.07.2019 წლის თანხმობა).

ხელმომწერმა პირმა ხელმოწერა შეასრულა ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერ პირს განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერი პირის პირადობა დადგენილია.ხელმომწერ პირის ქმედუნარიანობა ეჭვს არ იწვევს.
გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა , ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირების ხელმოწერის ნამდვილობა .ამასთან ,ნოტარიუს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის , ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური (3 ეგზემპლიარზე შესრულებული სულ 3 ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების) 6 ლარი , საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N 507 დადგენილებით დამტკიცებული - ,, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადების'' შესახებ , 31.3 მუხლის შესაბამისად და სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2 ლარი.

ნოტარიუსი :..... შორენა გოგორიშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190840458
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.07.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	შორენა გოგორიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 595 075225
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	25442576532119

მე, საქართველოს ნოტარიუსი , შორენა გოგორიშვილი, ვამოწმებ ბეგლარ ჯავახიშვილის (დაბ. 06.01.1971წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 20, პ/ნ 01024053631) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე დოკუმენტზე (17.07.2019 წლის თანხმობა).

ხელმომწერმა პირმა ხელმოწერა შეასრულა ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერ პირს განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერი პირის პირადობა დადგენილია.ხელმომწერ პირის ქმედუნარიანობა ეჭვს არ იწვევს.
გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა , ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირების ხელმოწერის ნამდვილობა .ამასთან ,ნოტარიუს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის , ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური (3 ეგზემპლიარზე შესრულებული სულ 3 ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების) 6 ლარი , საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N 507 დადგენილებით დამტკიცებული - ,, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადების'' შესახებ , 31.3 მუხლის შესაბამისად და სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2 ლარი.

ნოტარიუსი :..... შორენა გოგორიშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190840390
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.07.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	შორენა გოგორიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 595 075225
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	92257597587119

მე, საქართველოს ნოტარიუსი , შორენა გოგორიშვილი, ვამოწმებ თეიმურაზ ჯავახიშვილის (დაბ. 04.12.1973წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი ლ.გოთუას ქ. N 20, პ/ნ 01024055069) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე დოკუმენტზე (17.07.2019 წლის თანხმობა).

ხელმომწერმა პირმა ხელმოწერა შეასრულა ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერ პირს განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერი პირის პირადობა დადგენილია.ხელმომწერ პირის ქმედუნარიანობა ეჭვს არ იწვევს.
გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა , ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირების ხელმოწერის ნამდვილობა .ამასთან ,ნოტარიუს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის , ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური (3 ეგზემპლიარზე შესრულებული სულ 3 ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების) 6 ლარი , საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N 507 დადგენილებით დამტკიცებული - ,, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადების'' შესახებ , 31.3 მუხლის შესაბამისად და სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2 ლარი.

ნოტარიუსი ..... შორენა გოგორიშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თანხმობა

ქ. თბილისი 18.07.2019

მე, გიორგი ზავრადაშვილი (პ.ნ.01024043774, რეგისტრირებული მისამართზე, საქართველო, ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩაN 20) როგორც ჯეირან ზავრადაშვილის (პ.ნ.01024055358) უფლებამონაცვლე , ვაცხადებ თანხმობას, რომ შპს „დემაქს გოთუა"-ს (ს.კ. 405282215) წარმომადგენლებმა მიიღონ შესაბამისი სამსახურიდან მშენებლობის ნებართვა განცხადება N AR1693661 --ის მიხედვით.

გიორგი ზავრადაშვილი /გიორგი ზავრადაშვილი/

თანხმობა

ქ. თბილისი 17.07.2019

მე, ბეგლარ ჯავახიშვილი (პ.ნ. 01024053631, რეგისტრირებული მისამართზე, საქართველო, ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 20) ვაცხადებ თანხმობას, რომ შპს „დემაქს გოთუა“-ს (ს.კ. 405282215) წარმომადგენლებმა მიიღონ შესაბამისი სამსახურიდან მშენებლობის ნებართვა განცხადება N AR1693661 --ის მიხედვით.

ბეგლარ ჯავახიშვილი (პ.ნ. 01024053631)

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

82680612582319

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული განცხადების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191246173

რეგისტრაციის თარიღი

10.10.2019 წ

ნოტარიუსი: შორენა გოგორიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2

ტელეფონი: +995 595 075225

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის ათ ოქტომბერს მე, ნოტარიუს შორენა გოგორიშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით, რომელიც იძლეოდა პირის და ნოტარიუსის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებას, დამიკავშირდა ვასილ ცომაია. მან განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება გერმანიაში, ქ.ბერლინში და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გასცეს თანხმობა და დაადასტუროს იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი (ნაჩვენები) საქართველოს მოქალაქის პასპორტით (დაბ.28.09.1985წ. პასპორტი # 10AA19787 , გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი–სამგორის სამსახურის მიერ 03.06.2010წ. პ/ნ 01025015668, რეგისტრირებული მისამართზე:თბილისი, აწყურის ქუჩა, N 3ა, ბინა 1). მისი პირადობა ასევე გადავამოწმე და იდენტიფიკაცია მოვახდინე სსიპ სსგს სამოქალაქო რეესტრის სამსახურის ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დაკავშირებული პიროვნება ნამდვილად არის ვასილ ცომაია (დაბ.28.09.1985წ. პასპორტი # 10AA19787 , გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისანი–სამგორის სამსახურის მიერ 03.06.2010წ. პ/ნ 01025015668, რეგისტრირებული მისამართზე:თბილისი, აწყურის ქუჩა, N 3ა, ბინა 1). სანოტარო მოქმედებას ესწრებოდნენ ვასილ ცომაიას მოთხოვნით მიხეილ სოსელია (დაბ:25.03.1981წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი გ.სააკაძის ქ. N 39, პ/ნ 01031003849) როგორც მოწმე და ზაალ რუხაძე (დაბ: 10.04.1994წ. რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, სამტრედიის ქუჩა, N 4ა, ბინა 91, პ/ნ 01005044832) , როგორც ვასილ ცომაიას ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი), რომელთაც ასევე დამიდასტურეს, რომ ონლაინ რეჟიმით დაკავშირებული პიროვნება ნამდვილად არის ვასილ ცომაია. მოწმის და ხელმომწერის პირადობა დავადგინე მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. მოწმე და ხელმომწერი პირი არიან სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირები, იციან წერა-კითხვა ქართულ ენაზე და მათივე განცხადებით არა აქვთ შეზღუდული სამოქალაქო ქმედუნარიანობა და არ იღებენ სარგებელს პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით ამ სანოტარო მოქმედებით. ვასილ ცომაიას და მოწმის განცხადებით, ისინი არ არიან ერთმანეთის და/ან ნოტარიუსის ნათესავები აღმავალი და დამავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით. მოწმე გაფრთხილებულია და ადასტურებს, რომ არ არსებობს მისთვის მოწმეობის გამომრიცხავი გარემოება, მოწმე და ხელმომწერი პირი დაესწრნენ წინამდებარე თანხმობის დამოწმების სრულ პროცესს. ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც ვასილ ცომაიამ ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის თანხმობა

თანხმობა

მე, ვასილ ცომაია, თანახმა ვარ , მიწის ნაკვეთის (რომლის ს/კ 01.10.13.010.089) შეთანხმებული პროექტზე საავტორო უფლება გადავცე (სრულად დავუთო) დავით გაგნიძეს (პ/ნ 01008048937) და ასევე თანახმა ვარ მიწის ნაკვეთის (რომლის ს/კ 01.10.13.010.089) მოახდინოს პროექტის კორექტირება .

წინამდებარე თანხმობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა შორენა გოგორიშვილმა, რომელიც პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის რეჟიმში ასევე წავუკითხე ვასილ ცომაიას. მან დამიდასტურა, რომ ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ თანხმობის გაცემისას იგი არ იმყოფება ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად ხელის მოწერის უფლებას ანდობს ზაალ რუხაძეს.

წინამდებარე თანხმობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი ეგზემპლიარი გადაეცა ზაალ რუხაძეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 50 ლარი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მუხლი 32-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 52 ლარი.

ვასილ ცომაიას ნაცვლად მისივე თხოვნით
ხელს აწერს

ზაალ რუხაძე

მოწმე მიხეილ სოსელია

საქართველოს ნოტარიუსი